

# მისამართი

№2, 2015






## ძვირფასო ბავშვებო!

გასული წლის დეკემბერში ქართული საყმანვილო პროზის კლასიკოსა, ბატონ ვლადიმერ ასლამაზიშვილს 85 წელი შეუსრულდა.

„დილა“ დაგვიანებით ულოცავს მწერალს იუბილეს და ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებს.

იუბილარი ამჯერადაც ხელდამშვენებული მობრძანდა რედაქციაში და მკითხველს ხუთი ზღაპარი აჩუქა. მათგან ერთ-ერთს ამ ნომერში გთავაზობთ.



და გლობურების სახურავი 34480360  
ასეთი ხარ „რაინ“ მუსიკის გა.  
ვრცელებულ არა მართვილი.

ერთ ქალაქელ ბიჭს ძალიან უყვარდა ჩურჩხელების კრაწუნი. სოფლიდან ბებიაშ რაც გამოუგზავნა, სულ შემოეჭამა და ოქვა:

— მოდი, ბებიას წერილს მივწერ, რომ ჩურჩხელები კიდევ გამომიგზავნოსო. — აიღო ქალალდი, მოიმარჯვა კალამი და დაწერა:

„ჩემო საყვარელო ბები!“

ვიდრე ბიჭი სხვა სიტყვებსაც მიუმატებდა, ნაწერიდან ასოები გაქრა.

— ბიჭოს, რა იქნა ჩემი ნაწერი?! — წამოიძახა გაოცებულმა ყმაწვილმა და ისევ დაიწყო წერა, მაგრამ ერთი სიტყვის ჩამოავრებაც ვერ მოახერხა, თავზე კოდოები დაეხვივნენ, დაუწყეს ყურებზე კბენა...

ბიჭმა კალამი მაგიდაზე დააგდო და ორივე ხელი ყურებზე იტაცა.

— ეგრე არ უნდა ყურების დამალვაო, აზუზუნდნენ კოდოები და ახლა ცხვირზე დააცხრნენ.

ყმაწვილმა ყურებს ხელი შეუშვა და ცხვირზე მიიფარა; კოდოები ისევ ყურებზე მიესივნენ. მოკლედ, ხან ცხვირზე, ხან ყურებზე კბენდნენ.

ბიჭს თვალებიდან სიმწრის ცრემლები გადმოსცვივდა. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ოთახიდან გარეთ კალიასავით გავარდა და მეზობლის სახლის კარს ბრახუნი აუყენა. კარი თოვლის ბაბუასავით თეორწვერა მოხუცმა გაუდო.

ბიჭი სხაპასხუპით მოუყვა, რაც დაემართა, და შეეხევწა, რამე მიშველეო.

მოხუცმა ბიჭი შინ შეიპატიჟა, მაგიდასთან დასვა, წინ ქალალდი დაუდო და კალამი მიაწოდა, რამე დამიწერეო.

ბიჭმა ამოითხრა და დაწერა:

„ჩემო საყვარელო ბები!“

დაწერა და... თითქოს უჩინარმა საშლელი გადაუსვაო, ნაწერი გაქრა. — ეს რა ვნახეო, ლამის გადაირია მოხუცი, ოთახში რაღაც მწერები ზუზუნებდნენ — ცხვირ-პირზე კბენა დაუწყეს.

მოხუცი იმ ბიჭივით გარეთ გაქცევას აპირებდა, თუმცა რადაც მოიფიქრა, მოძებნა პეპლების საჭერი ბადე, რამდენიმე მწერი დაიჭირა, გამადიდებელი შუშით დახედა და სიცილი აუტყდა მერე ბიჭს უთხრა:

— იცი, რატომ ქრება ქალალდიდან შენი ნაწერი?

— რატომ? — ყურები ცეკიტა ბიჭმა

— ხელი არ გივარგა!

— ხელი?

— დიახ, შენ ცუდად წერ, ყმაწვილო, აჩხაბაჩხა ასოები გამოგყავს. ჰოდა, ჩემო ბატონი, გაბრაზდნენ ასოები, ეს რას ვგავართო, აფრინდნენ კოდოებივით და კბენა დაგიწყეს!

— ააა, მივხვდი, მივხვდი! — გაიდიმა ბიჭმა და კალამი მოიმარჯვა, წერდა დინჯად, მონდომებით. ცდილობდა, ლამაზი ასოები გამოეყვანა.

და მართლაც, ქადალდზე ისეთი ლამაზი ნაწერი გაჩნდა, იმის ცქერას არაფერი ჯობდა.

ბიჭმა წერილი ჩაამოაგრა. ბებიას სთხოვდა, ბეგრი ჩურჩხელა გამომიგზავნება, ჩემს მეზობლებდ ერთი კეთილი ბაბუ ცხოვრობს, ჩურჩხელებით პირის ჩატკბარუნება იმასაც ჰყვარებიაო.

## ჭკა ჭკურის ესმის ბაჟშეის ფიქრი

ერთი ჭკა ვარ, მქვია ჭკური,  
თავი მაღას სავსე ჭკური —  
ბაჟშეის ნათქვამს ზუსტად იგებს,  
თითქოს ცხვირწინ უჯდეს, იქვე!

„ჩემთვითონ ვარ ფეხი.  
ჩემთვითონ ვარ ხელი.  
ჩემთვითონ ვარ ცხვირი.  
ლოუაც მე ვარ, მსხვილი.

ჩემი ფეხი ჩემსა მუცელს  
ჩემ უელს ჩემ ცხვირს  
ჩემ ხელს უძლებს.  
არც თაგუნა სოროში ვარ,  
არც უვავილი ბაღში.

არც თოჯინა საწოლში ვარ,

ჩემთვითონად დაუტჩი.

თუ მომიტანს სიზმარი

ჩემში ჩემი თავის თაგვს,  
სათამამოც გავხდები  
მაშინ მემი ჩავტევ სხვას“.

აი, ამას ამბობს ბაჟშეი,  
მე, ჭკურს, მესმის ჭკვიან თავში.



## ჭკა ჭკური და თუ გათეანი

გადაწყვიტა ერთხელ ჭკურმა  
(ასე იცის ხოლმე ზუღამა),  
რომ მეიდა გარგარი,  
სუსტელაზე მაგარი.

იარა და იარა, ცხრა მთა  
გადაიარა,  
ნახა ორი გარგარი  
გვითელი და მრგვალ-მრგვალი,

მაგრამ განა ჩაულაპა,  
რომ არ იუღს ტებილიო?  
კერ აუარა შაქარი,  
მერე გახსნა ჩირიო,

ისე ჩააგარგარა,  
ბურკაც არ გადაუარა.

მხატვარი  
გიორგი ჩაჩანიძე



ლიუთაურას დაგასისი

## სუსები ნორთის

მაღლა მთაში აყდივართ,  
ქვევით რჩება ტბები.  
— ეს წომ ჩვენი სახლია, —  
უკურებ და თბები.

აქეთ — მოცვის კორომი,  
იქით — ტბილი ქოლო,  
ჩიტის ბუდე, შვლები და  
ტექში კურდღლის სორო.

მწვანედ შემოსილია  
ნეკერჩხალი, არეი,  
და შრიალით ამბობენ:  
— აი, შენი სახლი.

უკურებ და სიხარულს  
გჩუქნის ტბაც, ტეც, ჩიტიც.  
თითქოს ეს უველაფერი  
შენ სახლივით გიცდის.

## ოქონის ნორთი

ო, რა ცუდი იქო ზღვაში,  
ზღვა ღმუოდა: სო, სო, სო.  
ქარის ტოტზე იჯდა სოჭო,  
თეთრი სოჭო-სოჭოჭო.

ზღვა ღმუოდა, ტოტმანებდა  
ფეხს მოვამტვრევ სოჭოსი,  
ქვიშაზე ზის ახლა სოჭო,  
ზღვის ნათქვამზე ორჭოფობს.

და გაბრაზდა, მართლაც, ქარი,  
მოისროლა სოჭო შორს.  
მგონი, ზღვაში. დიახ, ზღვაში!  
ზღვა ღმუოდა: ოხ, ოხ, ოხ.

# „მარტინე გრეხლელის სულის დაბწინების“

მწერლები იხსენებენ თავიანთ სიყმანვილეს.

## რევაზ ინანიშვილი - ფრაგმენტი

### საშო

ჩემი სამშობლო სოფელი ხაშმია. ეს სახელი მაინცა და მაიც საამაყოდ არ უდერს, საბა მას „ავჭალოვანსა და უმაშვნოს!“ უწოდებს; ბებიაჩემი ნინოც მიყვებოდა ხოლმე, – კომშებივით იყვნენ დაყვითლებულნი და დაბუსუსებულნი ციებისაგან ჩვენებურებიო.

დავბადებულვარ აქ, ამ სოფელში, 1926 წლის დეკემბრის ოცის განთიადისას. მაშინვე უფრინებიათ მასარობლად ჩვენი მეზობელი გვარიძიანთ ქეთო დედაჩემის მამასთან. პაპაჩემს, გიორგის, მეტსახელად ლიტრიძირს, ვერცხლის მანეთიანი უჩუქებია სამახარობლო. მაგრამ დედაჩემს ჩემთვის რამდენიმე დღეს კი უწოვებია და მერე დაწყებულა ჩემი ვაინაჩრობა, ხან ძალუაჩემი მანოვებდა თურმე, ხან მეზობელი პატარძლები.

– ისეთი გამხდარი იყავი, შვილო, სულ მეტიორბოდა, ხელში რომ აგიყვანდიო, – მეტყოდა ხოლმე დედა. სამაგიეროდ, მრავალთა ძუძუნაწოვს მრავალთა სიყვარული ჩამინერგა ღმერთმა.

დაცოლშვილებულსაც კი ისე მომიფერებდნენ ჩემი უბნელი გარჯასა და ჯაფაში თვალებჩაქანული ქალები, თითქოს ისევ პატარა ვყოფილიყავი; ვაი, რომ ვერავითარი სასიხარულოთი ვერ აღვნიშე მათი ტკებილი ამაგი!.. ვერც მათი, ვერც სოფლისა. ან წყალი გამეყვანა, ან გზა, ან ბიბლიოთეკა ამეშენებინა! წლები გადის, ფეხიც კი აღარ დამიდგამს ჩემს ეზოში. ლამით კი, სიზმრებში, ხშირად ვარ იქ. თან სულ მძიმე სიზმრებში! ხან ჩემი ეზოს დიდი კაკალია გამხმარი და ტოტებჩამოლენილი, ხან მღვრიე წყალია ბალჩაში შევარდნილი, ხანაც სახურავი ენგრევა, ან უკვე ჩანგრევია, ჩვენს სახლს. შიგაც არავინ არის, ხმას არავინ მცემს. ცივად და შავად იყურებიან ფანჯრები.

ამომიჯდება გული, ავტიორდები...

### დედა და მამა

დედაჩემი თამარი მამულაშვილების ქალი იყო, ისიც ხაშმელი, ისიც ქვემოუბნელი. მამამისს, გიორგის, სამი შვილი ჰყავდა, ორი ვაჟი და დედაჩემი, ყველაზე უმცროსი.

შეძლებულად ცხოვრობდნენ.

აი, ამ ძლიერი ოჯახის ნანინანატრი ქალიშვილი იყო დედაჩემი, ქალაქშიც ნასწავლი, წიგნების მოყვარული. გიმნაზიაში დიდხანს არ უსწავლია. ომი იყო, ძალიან ჭირდა, თან უცხო ოჯახში იყო მიბარებული და, ერთხელ რომ პაპაჩემი ჩასულა,

გამოჰყოლია, საბოლოოდ დაბრუნებულა თავის სოფელში. აქ უკვე ჰყვარებია მამაჩემი. მე ცამეტი წლისა ვიყავი, რომ გადავირიეთ, მამათქვენი კიდევ თექვსმეტისო. თუ როგორი იყო ეს სიყვარული, თვალნათლივ ჩანს აქედან: მთელ დღეს რომ ერთად ვყოფილყავით, საღამოს ისევ წერილებს ვწერდით ერთმანეთსო. ხან ვის ატანდნენ თურმე ამ წერილებს, ხან ვის. რაღა თქმა უნდა, ქვეყანას მოედო ეს ამბავი. პაპა და ბებია ლამის გაგიუნენ: მამაჩემს, კოტე ინანიშვილს, მამით ობოლს, არაფერი რომ არ გააჩნდა მკვირცხლი გონებისა და ძალიან ლამაზი ღიმილის მეტი, რომელი ოჯახი ინატრებდა სიძედ?! მაგრამ დედამ თავისი გაიტანა – ოღონდ არ დაგვიჭრებულესო და შეაუღლეს. დედა თექვსმეტი წლისა ყოფილა მაშინ, მამა ცხრამეტისა. ბედნიერებიც ვიყავით ძალიანო. ახალი ცხოვრება მოვიდა. მამა პირველ კომკავშირელთაგანი გახდა, მალე პარტიულიც, ხან რა კურსებზე გზავნიდნენ, ხან რა, და ბოლოს იმას მიაღწია, რომ მთელი სოფლის თავკაცი შეიქნა. მონინებით შეკურებდა თვითონ პაპაჩემიც.

37-ში მამა რომ დააპატიმრეს, ყველაფერი წაიღეს – თვით დედაჩემისა და მამაჩემის ადრეული, ნახევრად ბავშვური სასიყვარულო წერილებიც.

დედა არასოდეს ამბობდა რაიმე სააუგოს მამაზე. პირიქით, ეტყობა, სულ იმის სახეს დაპირისინებდა ფიქრებში. შემოგვისხამდა შვილებს საღამოობით, ან სიმინდს ვთხვნიდით, ან მატყლს ვწერავდით და გვიყვებოდა თავიანთი სიყვარულის ამბებს. დღესაც სულ ცხადად ვხედავ ერთ იმ ამბავთაგანს: დამთავრდა საშობაო არდადეგები, ქალაქში მივყავარ დიდის ამბით ჩვენებსო. თოვლია, გადაბარდნილა ყველაფერი. მოჩარდახულ, მოთბილულ ურემში ვსხედვართ დედაჩემი და მე – გაბურებული, გადღუნჩული. მამაჩემი ხარებს მიუძღვის წინ. ქვემოთ გზაზე მივდივართ, ვენახებში... გავიხედე და რასა ვხედავ: კოტე არ გადმოტა გზაზე?! მარტო ერთი შევხედეთ ერთმანეთს და, ვენახებიდან აღარც გავსულვართ: ავიტკიე მუცელი, ვაიმე, ვკვდები-მეთქი, ვაიმე, გავთავდი-მეთქი. გადაირია მამაჩემი, მოაპრუნა ხარები, მიმიყვანეს შინ, ჩამაყრევინეს ფეხები ცხელ წყალში, დამიდეს ცხელი აგურიც, დამალევინეს ხართუთის მურაბიანი ჩაი, საღამოს კი ავიპარე, ავედი ზევით და შევხვდი გაბრნყინებულ მამათქვენს.

<sup>1</sup> თვითონ სიტყვა „უმაშვნო“ საბას თავის ლექსიკონში არ შეუტანია, მაგრამ იქ განმარტებული აქვს მისი ფუძე „მაშვნე“ – „შემრგვაც“ – ნიშანავს; ეს იგი „უმაშვნო“ ურგებელი, მავნე, საზიანო ყოფილი (რუბრიკის ნამყვანის შენიშვნა).

## გეპია – ჩემი მზე

ჩემი დაბადების შემდეგ დედა ცუდად გამხდარა, სულ გული მისდიოდა თურმე. მე ბებიას ვებარე, ის მივლიდა, ის დამატარებდა სხვათა ძუძუს მოსაწოვებლადაც. ოცდაორი წლის ვიყავი, ბებია რომ გარდაიცვალა, მაგრამ ზუსტად არ მახსოვეს, სახის ნაკვთებით როგორი იყო. ის იყო, საერთოდ, ბებია, თალხებით შემოსილი (მის კაბებს ყოველთვის ასდიოდა ბუხრის კვამლისა და დამწვარი რძის სუნი). საცა ის იყო, მეც იქ ვიყავი, საცა მე, ბებიაც იქა. თუ ფეხზე იდგა, კალთაზე ვყავდი მიკრული, თუ იჯდა, კალთაში ვეჯექი.

გავიდოდა ბალჩაში და ვენახში სამუშაოდ და მეც თან მივყავდი: დამახურებდა წვერებწაკვანძული ცხვირსახოცის ქუდს, თვითონ დაინყებდა ხახვის მარგვლას, ან პამიდვრის ახვევას და, – გამომართვი ნამარგლი და ბილიკზე დაყარეო, მომაწოდე სახვევიო, – მოკლედ, – საქმეში გავყავდი. მე მახარებდა ეს, შინ ნაჯაფარი კაცივით ვბრუნდებოდი.

ახლაც ხომ დიდი თავი მაქვს და პატარაობისას მთლად დიდი მქონია. ერთხელ ერთ უცხო კაცს უთქვამს ბებიასათვის: ეს ბიჭი ან გენისი გამოვა, ან ოლიგოფრენიო. ბებიას იმ წუთში ვერ გაუგია, რას ნიშნავდა ოლიგოფრენი, მერე, რომ უთქვამთ – ჭუასუსტობაა, გაცეცხლებულა, – დაუბრმავდეს თვალები, ჩემი ბიჭის თვალების პატრონს ოლიგოფრენობისა რა შეატყო.

წლისა რომ გავმხდარვარ, – წინათ ჩვენში ასეთი რწმენა ჰქონდათ, – დავუსვივარ, შემოუყრიათ ირგვლივ სხვადასხვა ხელობის იარაღები: კოჭებიანი საანგარიშო, წალდი, სადგისი, ასტამი, კალამი, წალი, ხერხი და კიდევ სხვა რაღაცები. რასაც პირველად მოჰკიდებდა ბავშვი ხელს, იმ ხელობის კაცი გამოვიდოდა. ბებია მეტყოდა ხოლმე, შენო კალამს დასწვდი მაშინვეო. არა მჯერა, ერთი წლის ბავშვმა, კოჭებიანი საანგარიშოს გვერდით, კალამს წაატანოს ხელი, მაგრამ ეგრე იყო, დაუდასტურებია დედასაც, და მეც, მეტი რაღა ძალა, ვუჯერებ.

## ჩემი სახეალი სიყვარული

თორმეტში, შაბათს აქ, ჩემს სოფელში, მესტუმ-რა ჩემი ქალაქელი მეგობარი. სიყვარული ადამიანების მოგონილია ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, როგორც, ვთქვათ, თმის ვარცხნილობა, ანდა კოსტიუმის მოდა, და რაც უფრო მაღე განთავისუფლდებიან მისგან და დარჩებიან ისეთნი, როგორებიც ბუნებამ შექმნა, – მხოლოდ არსებობისათვის მცდელი, – მით უკეთესი იქნება მათვისო, – მიმტკიცებდა.

ცუდ გუნებაზე დავდექი; როცა იგი სადგურში ჩავაცილე, ქალაქისაკენ მიმავალ მკაცრად შეკრულ მატარებელს გავაყოლე, – გამოვბრუნდი და სრულიად მარტო დავრჩი მშვიდი ცის ქვეშ ჩაყუჩებულ გორაკებსა და ველებში. მე ეს ძევშეფენილი გორაკები და ჯეჯილებად დავარცხნილი ველები ძალიან მიყვარს;

ნაღვლიანი შემოველი მაყვალწყლის ხევში და იქ უცბად შევჩერდი: მელას ხმა მომესმა. მელას ხმა, წკმუტუნი და ხავილი სხვა დროსაც ბევრჯერ გა-

მიგონია, მაგრამ ეს ძახილი სულ სხვანაირი იყო. – ბაა! – ამოიძახებდა აშკარად უმწეო, შეწუხებული ნადირი, წავიდოდა ხმა, მიიკარგებოდა სადღაც და მხოლოდ ამის შემდეგ მიადევნებდა მეორე ძახილს, თან უფრო გულსაკლავს.

შინ არ მეჩქარებოდა და გადავუხვიე ბილიკიდან, – იქნებ თვალი დავკრა, საინტერესოა, რა აწუხებს-მეთქი მელას. ავიარე ძეძვნარი ფერდო, წამოვუარე ხევს ზემოდან, ჩავედი, ჩავიდაბლე, ვეძებე ბუჩქებში, და ბოლოს დავინახე – დაყუნთულა გამხდარი, წვრილი, დიდყურება, წინ უდევს მკვდარი, მთლად პატარა, მუცელგაბერილი ლევევი, და დროგამოშვებით იძახის: – ბაა! ბაა! დაიხარა, წაავლო ქეჩომი პირი, აიყვანა, როგორც კატა აიყვანს ხოლმე თავის კუნუტს, წამოვიდა და წამოილო პირდაპირ ჩემკენ.

ისედაც ცუდ გუნებაზე მყოფი, მთლად მომშალა ამ უცნაურმა გამოცხადებამ, ნერვიულად აკანკალებული იქვე ჩავჯექი და ვიჯექი ასე...

მზე უკვე ჩასულიყო, დასავლეთის ცა წითლად ღუდღუდებდა, სინითლეს შერეოდა მურა ფერიც, ამ მურა-წითელი ფერის ანარეკლი დაჰთენოდა ბრტყლად გაშლილ მოლურჯო დედამიწა... მატარებელი აღარ ჩანდა, მის გზაზე მიდიოდნენ, თითქოს მირბოდნენ შავი ბოძები – ჯერ კანტიკუნტად, მერე – ხშირად, მერე მთლად ერთმანეთს მიჯრილი... ვიცოდი, რომ იმ ბოძებთან ერთად გარბოდა ჩემი მეგობარიც – კიდევ უფრო დაპატარავებული და დათრგუნული... „მე არსად არ ვარ გამქცევი, მეგობარო, მე ჩემს საწყალ სიყვარულთან ვრჩები, ჩემს საწყალ მელებთან, ჩემს საწყალ ძევებთან“, – ვთქვი ერთი ეს, გამოვბრუნდი, მაგრამ შინ არ გამოვჩერებულვარ, ხშირი მუქი ბალახი ამოვირჩიე, ჩავნექი იმ ბალახში და გაშლილი ხელებითა და მარცხენა ლოყით დავეხუტე მინას.

იმ წამსვე ვიგრძენი, რომ მოვიდა წმინდა, კეთილი, სხეულის ყოველი ნაკვთის, ყოველი ნერვის დამამშვიდებელი, დამასვენებელი, უჩინარი, უსახელო შუქი...

## მინანერი

1937 წლის ზაფხულში მამა დააპატიმრეს...

ბავშვს ბავშვობა წამართვეს...

ალბათ დავწერ ამაზეც, მაგრამ ბავშვობა მაინც სხვაა. ბავშვობაზე გადიდებული თვალებით და ჩაკირკიტებით წერა მუდმივი მტკიცებაა, მართლა არსებობს სადმე სამოთხე, თუ არა.



მზია ჩხეთიანი



## კროი, ტრტალი და უხვებერი

ეზო-ეზო და კარდაკარ  
ქარმა დაჭქროლა ქაქანით,  
კაკლის ტოტს შოლტი გადაჭკრა,  
დაცვივდა კროლა კაკალი.

ვაიო, უვირის ქათამი,  
თავში მომხვდაო კაკალი  
და საქათმისკენ გამორბის  
კრიახითა და კაკანით.

თან იხვი მოსდევს უვიტევიტა,  
იოდითა და ბინტითა...  
— არ დამანახვოთ იოდი! —  
შექნა ქათამმა წიოკი.

— დამშვიდდი, ნუ ხარ ფანცარა! —  
გრუხი უწერება, ნაცარა.  
— ჩქარა, ვკიმველეთ, ვაიო,  
ჭრელას გაუტევდა თავიო, —  
ბატი, იხვი თუ ქათამი  
ეზოს იკლებენ ქაქანით.

გაკლის ქვეშ ვინდა დამვრება  
კროლა კაკლების ტკვარუნით?

— გოჭი, ვარდისფერღაწვება,  
ღობიდან შემოჰარული.



მხატვარი ნანა სანაია



# ჰოდა, ჩვენც ჭინკები გარდა

ქცევას ხშირად გვიწუნებთ,  
გვმწევემსავთ გაფაციცებით,  
საუვარელო მშობლებო,  
ვითომ ცუდად ვიქცევით?  
ნუთუ ცუდლუტ ჭინკებზე  
არა გაგიგიათ რა?  
ჰოდა, ჩვენც ჭინკები ვართ,  
უზრდელები კი არა!..



## ჰოდა ბაბუის ლამსევაუ!

თავქეიფა რად ბრძანდები?  
რად არ უსმენ იმას, ამას?  
ნაამაგარ დედას, მამას  
რატომ უერი წეალში ამაგს?  
არაფერს რომ არ აფასებ,  
რად იქცევი, ნეტავ, ასე?  
გაწედა ქვეენად ცხვარ-ბატქანი?  
რადა ჩოხორს დაემსგავსე?



## ბუტი

დატუქსული და დასჯილი  
ხშირად გუთხეში უუნტია,  
საქციელი რომ ცუდი აქვს,  
მიტომაც ჰქვია ბუტია.



## მორია

სლუქუნ-სლუქუნ-სლუქუნი  
არემარეს მოჰვინა,  
ერთი ამას უურეთ  
რა მტირალა ეოფილა!  
როცა ჩაგვიშოშმინდა,  
ტაშფანდურა გამართა  
და როგორც მზემ წვიმაში,  
ისე გამოანათა!...







8 s s 9 9



m s o g



# კესონ აცნება



1

მხატვარი  
როენა შელეგია



2

გემრიელი კანფეტებით  
გავუმასპინძლდები.

ეჱ, როდის მიყიდიან ლეკვს?!



3



4

ერთად ვიბანავებთ.



5

ერთად ვიხტუნავებთ.



6

მინდორზე თავდაყირა დავდგებით.



7

ძილის წინ ჩავიხუტებ  
და შუბლზე ვაკოცებ.




8

საწყენია... ჯერ კიდევ ვერავინ  
მოიფიქრა, რომ ლეკვი მაჩუქოს.



მზიანი დღეები სულაც არ პგავდნენ ერთმანეთს. ერთ დღეს რომ თბილი ამინდი იყო, მეორე დღეს უკვე მზე პირდაპირ ათოვდა ნარინჯისფერ სხივებს დადამიწას. ეზოში დიდი თუთის ტოტებზე ისე აქლურტულდნენ ბეღურები, მართლაც გააყრუეს იქაურობა. ანამ ამ ხმაურში ახალი თამაში გამოიგონა. მიიჭერდა საჩვენებელ თითებს თრივე უურზე, მერე სწრაფად დაუშვებდა და დაიცობდა. ისეთი სასაცილო ხმები გამოდიოდა, გოგონა ძალიან გაერთო. მერე ფეხისწვერებზე აიწია და ტოტებს დაუწყო თვალიერება. დედა მაშინვე მიუხვდა ცნობის წადილს და ღიმილით პეითხა:

- რაო, ანა, არა ჩანან კვირტები?
- ჯერჯერობით არა. ნეტა, როდის მოვა მარტი?
- მარტი? მარტი მალე მოვა.



# იყალები სასათვის

ანამ ჩაიღიმა, ეს მალე როდის იქნებაო, გაიფიქრა. შარშან კვირტები გამოძვრნენ თუ არა ტოტებიდან, მარტიც მოვიდა. რვა მარტს კი მისი დაბადების დღე იყო. ექვსი წლის ხდებოდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ანას ცოტა გული ეთანაღრებოდა. ამ დღეს მამას და ბაბუას უველასთვის მოჰქონდათ უვავილები... გილოცავთ, ქალებო, დღეობასო! – ეტყოდნენ. ანას კი: შენ – დაბადების დღესო. ისე, საჩუქრებსაც კი მიართმევდნენ, მაგრამ ანა ბრაზებოდა, თუ უველას დღეობაა, რადა გამოვიდაო. ერთ დღეს ბაბუა დაიმარტოხელა ოთახში და პეითხა:

- ბაბუ, რვა მარტი მარტო დიდი ქალების დღეობაა? – ბაბუამ ერთი გულიანად გადაიხარხარა (რა იყო, ნეტა, სასაცილო?), ისე, რომ ფანჯრის შუშებმა ზრიალი დაიწყეს, და უთხრა:
- კინ მოგახსენა მარტო დიდი ქალებისააო? პატარა ქალებისაც არის.
- პოო! – ამოიოხერა ანამ. – აბა, რატომ მე არ მილოცავთ ხოლმე შენ და მამიკო?
- კი მაგრამ... – სიტყვა აღარ დაასრულა ბაბუამ, აღიარებო, უნდა ეთქვა დაბადების დღეს ხომ გილოცავთო... და რაღაცას მიხდა...

ორი დღის შემდეგ, 8 მარტს, დილით, ანა საზეიმოდ გამოეწყო, ცისფერი კაბის თეთრ მაქმანებს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი სარკეში და სასაცილო ოთახში შევიდა. ტელევიზორთან დახრილი მამა უცებ შემობრუნდა, ბაბუამ გაზეთი გადადო, მერე ორივენი მაგიდაზე დახვავებულ თაიგულებს დასწვდნენ, მამამ ლურჯი გიაცინტები და მზისფერი მიმოზები გაუწოდა, ბაბუამ – წითელი ბრდდვიალა ტიტები და ჭრელი იასამფერები. ორივემ ერთად ხმამადლა, თითქოს საბავშვო ბალის ბავშვები არიანო, მიმართა:

- ანა, გილოცავთ 8 მარტს და დაბადების დღეს!.. – გოგონამ გაიღიმა, თაიგულე-

ბი გამოართვა. გმადლობთო, დირსეულად თავი დაუკრა და იქვე მდგომ ბებიას და დედას მიუბრუნდა:

- ბები, დედა! გილოცავთ ქალთა დღეს,
- ტიტები ბებიას გაუწოდა, ლურჯად მოლივლივე გიაცინტები – დედას. თავისი თაიგულები გულზე მიიკრა, სკამზე დაჯდა, ერთი ამოისუნთქა, ეშმაკურად შეათვალიერა უველანი და თქვა:
- ასე არა ჯობს, თქვე კაი ხალხო?
- უველამ გულიანად გაიცინა, ბაბუამ კი ისე გადაიხარხარა, შუშებს ცოტა დააკლდათ, თორემ ნამდვილად ჩაიმსხვრეოდნენ. ანას სულაც არ სწყენია. აბა, საწყენი რა იყო?




# ბრუნი თუ ჭყაპუნები

დედამ რეზინის მაღალყელიანი ფეხ-საცმელი მიყიდა. ესეც ბოტებიო. თურმე ასეთ ფეხსაცმელს ბოტები ჰქვია. ახლა რამდენიც გინდა აჭყაპუნე გუბეებშიო. ჰო, მე მართლაც მიყვარს ნაწვიმარზე გუბეებში ჩაჭყაპუნება. მომწონს, ტალახნარევი წვეთები რომ იშლება გარშემო. რომ დააკვირდე, იმ ტალახს მაინც სუფთა წვიმის წვეთები სჯობნის და შხეფის ბოლოს ვერცხლისფრად ბრწყინავს; ისეთი გრძნობა მიპყრობს, რამე რომ ჩავიფიქრო, ამისრულდება, მაგრამ იმდენი სურვილი მაქს, უცებ ვერ მომიფიქრებია, პირველად რომელი ვინატრო. ამასობაში კი შხეფებიც იფანტება.


გუბეებში ჩაჭყაპუნება მიყვარს-მეთქი. დედამ ალბათ ამიტომაც მიყიდა რეზინის ფეხსაცმელი, ესე იგი ბოტები. იქნებ ჯობდა, რომ ამ ფეხსაცმელს ბოტები კი არა ჭყაპუნები ერქვას.

მე ასე ვფიქრობ, შენ?



ამ ნახატებიდან რომელი  
იწყება ასო „ბ“-ზე

მხატვარი ლაშა სულაკაური





## ხარბი კატა

იგავ-არაკი

კოთხელ კატამ შეამჩნია:  
ჩიტი ბუდეს აშენებდა;  
მაღლა იუო მეტის მეტად,  
ბუმბულებით ამშვენებდა.  
გამოჩეკა რა ბლარტები,  
კატა აღარ ასვენებდა;  
მას სიძალლე და სიშორე  
სრულებით არ აშინებდა.  
ერთ საღამოს სიდან სეზე  
გადავიდა ძლივს წყალობით.

შავი კატა ეუბნება:  
- ვეღარ მოხვალ შინ მშვიდობით!  
დაანებე, ჩამო დაბლა,  
აქაცა გვაქვს სამუოფელი!

- ეგ მომწეინდა, აღარა მსურს,  
სხვა საჭმელსა აქ მოველი!  
კატამ აღარ გაუგონა,  
მიცოცავდა, თათსა სცემდა;  
ჩამოვარდა მირს ტრიალით  
და სულს ძლივს-ლა იბრუნებდა!

ა. შავიაშვილი  
ნაკადული 1910 წ. №13

# ეძრული ძსორთი

(გადმოკეთებული)



ოლად დასნეულდა, დაუძლურდა საბრალო  
მურია. მოელი დღე გარედა წევს, მოწყენილია,  
კანკალებს, არაფერსა სჭამს.

ზამთარი იყო. გარედ ჰყინავდა. პატარა  
ოედო, რაც-კი შეეძლო, უვლიდა საცოდავ  
მურიას: გაუგეთა ჩალის ქოხი, ქვეშ ჩალა  
დაუგო, ზემოდამ ძველი ჭილოფი დაჭხურა,  
საჭმელსაც უზიდავდა.

— რა უყოთ ამ ვერანას? ან უნდა დავარჩოთ, ან  
გადავკარგოთ სადმე. წევს უძრავად, მუქთადა სჭამს, არც დღისით და არც დამით არა  
ჰყეფს, სახლს არ დარაჯობს. სჩანს, დასნეულდა და რაღა სახეიროა ამის შემდეგ, —  
უოხრა ცოლს ოედოს მამამ.

ოედო კუთხეში იჯდა და მამის ლაპარაკს ყურს უგდებდა. ეცოდებოდა საბრალო  
მურია. ოედო ადგა, გავიდა მურიას სანახავად. მურიამ საცოდავად და თან ნაღვლიანის  
ოვალებით დაუწყო ცქერა თავის მარჩენალს, მოამაგესა და მეგობარს, სიხარულით  
დაიწკმუტუნა, მაგრამ, სისუსტით, კუდის ქნევაც-კი ვერ შესძლო.

როცა სახლში არავინ იყო, თედომ ფარულად აიყვანა ძაღლი, შეიყვანა სახლში,  
ახადა სარდაფის კარი, ჩაიყვანა შიგ და თბილ ადგილას დააბინავა. სითბოში მურია  
მოკეთდა. როცა თედო მურიას სანახავად ჩაძრებოდა სარდაფში, ჰედავდა — ძაღლი  
კუდსაც აქნევს და პურსაცა სჭამს. ბავშვს უხაროდა.

გავიდა რამდენიმე დღე. ძაღლი არსადა სჩანდა. ცოლ-ქმარნი კმაყოფილნი იყვნენ,  
ალბად ჩაკვდა სადმეო. თედო ძაღლს ყოველ დღე ნახულობდა და უვლიდა.

ერთ სადამოს საშინელი ქარბუქი იდგა. ცოლ-ქმარნი სახლში ვახშმად ისხდნენ.

სარდაფიდან საშინელი ყეფა მოესმაო. —  
რა ამბავია! — გაკირვებით წამოიძახა  
თედოს დედამ — სარდაფიდან რაღაც  
ყეფა მოისმის?

ყეფა ისევ გამეორდა. თედოს  
გაეცინა, გამომვრა მაგიდის ქვეშ და  
აქხადა სარდაფს კარი მხიარულის  
წკმუტუნით შემოვარდა მურია სახლში,  
მიესიყვარულა თედოს და ყველას  
ალერსიანად ულოკავდა ხელებს.

ლ. პოცვარც

ნაკადული 1909 წ. №12



# სასწაულად თბილი იანვარი იდგა, სამყარომ ქრისტესშობა იზარზეიმა და ახალი წლის შე- საგებებლად მოემზადა. მართალია ზამთრის მზე ისეთი მცხუნვარე აღარ იყო, როგორც ზაფხუ- ლის, მაგრამ თავისი სხივებით არემარეს მანც ეალერსებოდა და სითბოს უნაწილებდა.

გესია პეპელიძე

სასწაულად თბილი იანვარი იდგა, სამყარომ  
ქრისტესშობა იზარზეიმა და ახალი წლის შე-  
საგებებლად მოემზადა. მართალია ზამთრის მზე  
ისეთი მცხუნვარე აღარ იყო, როგორც ზაფხუ-  
ლის, მაგრამ თავისი სხივებით არემარეს მანც  
ეალერსებოდა და სითბოს უნაწილებდა.

ტყის ერთ ფერდობზე თოკის სიმსხო წყარო  
მოწანწერა გარებდა, მზის სხივთა სალბუნი სიამოვ-  
ნებდა და თავის სიმღერას ღიღინებდა. ციცქ-  
ნა ნაკადული მშობელ მიწას იმდენი ეკურეურა,  
ელოლიავა, რომ მისი კალაპოტის გასწვრივ ზამ-  
თრის ძილს მიცემული ყვავილები გამოაცოცხ-  
ლა, თვალი გაახელინა და აფიქრებინა, გაზაფხუ-  
ლი დამდგარაო.

— რა კარგია სითბო, — ნამძინარევმა პატარა  
იამ თვალი გაახილა, გემრიელად გაიზმორა, —  
დედიკო, დედიკო, — მშობელს დაუძახა.

— გაიღვიძე, ჩემო ლამაზო? — დედამ ფო-  
თოლი მოხვია და გულში ჩაიკრა, — იაკო, დაი-  
ძინე, ამოსელა ჯერ ადრეა, ზამთარი წინ არის,  
— კვირტზე ფოთლით მიეფერა.

— ძალიან თბილა, ერთი სული მაქვს, რო-  
დის ავიწვერები და მდელოს გავაისურებ.

— მოესწრები, დედა გენაცვალოს, მოესწრე-  
ბი. ღმერთმა ჩვენი ამოსელის დროდ გაზაფხული  
დააწესა, მაშინ ბევრნი ამოვლაღანდებით და ბუ-  
ნებას გავალამაზებთ...

— დედიკო, ცოტა წნით ავიჭყიტები, წყაროს  
გავიცნობ, პირს დავიბან და მერე უკან დავბრუნ-  
დები.

— არა, შვილო, ამოსელი ყვავილი უკან ვე-  
ლარ ბრუნდება, მისი სიცოცხლე მიწის ზემოთ  
გრძელდება. იმიტომაც არის გაზაფხულის სით-  
ბო საჭირო, რათა არ გამეყინო. პატარავ, დაიძი-  
ნე, ყველაფერს თავისი დრო აქვს, — დაამშვიდა  
დედამ და გულზე უფრო მიიხუტა.

ის დღე იყო და ის, იამ მოსვენება დაკარგა —  
ძალიან სურდა, მიწის ზედაპირს ასცლოდა, თაგი-  
სი ყვავილი გაემალა და ბუნება გაეკოხტავებინა.  
ერთხელაც, როდესაც დედიკოს ჩაეძინა, მშობლის  
ფოთლებიდან გათავისუფლდა, აიწვერა, აიწვერა  
და მიწიდან თავი ამოყო. ცოტა წნით ადგილზე  
გაისუსა, სხივთა ამბორი და წყაროს ჩუქჩება  
ღილინი მეტად ესიამოვნა, მიესალმა კიდეც, შემ-  
დეგ კვირტი გაშალა და გადახვლიკისუერებულ  
ბუნებას იისფერ მარგალიტად წარუდგა. გაიხარა  
პატარა ყვავილმა, ფოთლებით პირი დაიბანა და  
მზეს გული მიუშვირა.

ზამთრის მოკლე დღე მსწრაფლ მიიღია,  
მზე დასავლეთისკენ გადაიხარა. იას შესცივდა.  
დაიბან პატარა, აღარ იცოდა, რა ექნა. ამ დროს  
მიწიდან დედიკო ყვავილი ამოიმართა, შვილს  
ყველა ფოთოლი მოხვია, რათა ია სიცივეს არ  
მოეშთო.



— მცივა, — წაიწურენა ყვავილმა.

დედას აღარაფერი უპასუხია, შვილი ჩაიკრა და ბედს მინდობილი გაირინდა. ნიავმა ცაზე ღრუბლები მორექა, ღამის მნათობები დაფარა და იქაურობა უფრო ჩამოაბნელა. აკანკალებული ია მშობელს ჩაეკონა და სლუკუნი მორთო.

— ნუ გეშინია, დედიკო, ღმერთი არ გაგვწირავს, — მშობელი შვილს მიეფერა.

და მართლაც, ღრუბლებიდან ფიფქებმა იწყეს ფარფატი. წამოვიდა და რა წამოვიდა, თითოეული ფანტელი განსაკუთრებული ნაჭით გამოირჩეოდა, არც ერთი მსგავსი არ იყო. როდესაც პირველი ფიფქი იასთან დაეშვა, გაულიმა და მიესალმა.

— შენ ვინა ხარ? — ყვავილი უცნობს შეაცქერდა.

— მე ფიფქი ვარ, ჩვენ, უამრავი და-ძმა მოვ-


ფარფატებთ, რათა თოვლით დაგხუნძლოთ, ჩვენს საფარველში შეგფუთოთ, გაგათბოთ კიდეც და ზამთარი გადაგაგორებინოთ. შენი სილამაზე, ჩემო პატარა იაკო, გაზაფხულის მშვენებაა, მისი დაბადების აღმნიშვნელია და ამიტომ დედიკოს დაუჯერე, დაიძინე და გაზაფხულს დაელოდე, — ფიფქმა ისევ გაუღიმა.

— კი მაგრამ, გაზაფხულზე თქვენ რა მოგივათ?

— ჩვენ დავდნებით, წყაროს გავაძლიერებთ, მიწასაც დაგილბობთ, რათა კარგად გამოიკვებო, გაიზარდო, დამშვენდე და ბუნება გააიაო.

ფანტელთა ჯარი დედა-შვილს თავს დაეთოვა, ისე გაათბო, ოოგორც თქვენ საბანში გაღულუნდებით ხოლმე. პატარას აღარ სციოდა, დედიკოს ბედინერი მიეკრა და გაზაფხულის მოსვლამდე მშვიდ ძილს მიეცა.

მხატვარი  
დარეკან ნოზაძე



## პატივი და ცელი

უკვე დიდი ხანია სკოლაში გაკვეთილების დროს, ფანჯრიდან ჩანს, თუ როგორ თამაშობს ორი კუდთუმფულა, ცელქი და მოუსვენარიარსება, ესენი ჩვენი სკოლის ბინადარი ციყვები არიან. მათთვის არც კი მიკითხავს ისე დავარქვი „ბაქსი“ და „ვუდი“. ჩვენი რომ ესმოდეთ სახელები ძალიან მოეწონებოდათ. ყოველთვის როცა ჩვენ დაღლილები კლასში ვსხედვართ, ისინი დაუღალავად აგრძელებენ თამაშს, დახტიან ხიდან – ხეზე, ტოტიდან – ტოტზე. ზოგჯერ მშურს კიდეც მათი. მათ ხომ ამდენი თავისუფალი დრო აქვთ. ვინ იცის, იქნებ მათაც უნდათ ჰქონდეთ ჩვენსავით ჩანთა, წიგნები, ფერადი ფანქები, დადიოდნენ სკოლაში და ჰყავდეთ მეგობრები. მათაც ჩემსავით ეყვარებოდათ გიო, მიშო, კატო, ტასი, საბა, ლუკა, მარი... მაგრამ, მათისეუყვართ ერთმანეთი, ალბათ არც სკოლაზე ფიქრობენ და არც სხვა მეგობრებზე. ალბათ პატარა სახლიც აქვთ იქვე ხის ფულუროში. თხილი ხომ ძალიან უყვართ და ხანდახან შეიძლება შოკოლადის კა-



რაქი, რომელშიც თხილი ურევია, იპარავენ კი-დევაც სკოლის სამზარეულოდან.

ერთ საღამოს, როგორც ყოველთვის, ბევრი დავალება მქონდა. დაღლილს ჩამეძინა და დამესიზმრა. სკოლაში ვიყავი და ფანჯარაში ვიყურებოდი, ციყუნიების დანახვა მინდოდა, მაგრამ არც ერთი არ ჩანდა. მთელი დღე არ გამოჩნდნენ. საღამოს, როცა სახლში უნდა დავბრუნებულიყავი ისევ გავიხედე ფანჯარაში, ფოთლები გამოძრავდნენ და რაღაც ტოტიდან – ტოტზე გადახტა ბაქსი და ვუდი დაბრუნდნენ ჩვენი პატარა მეგობრები.

**დათუნა ჩანსელიანი,**

**9 წლის**

**ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა**

**არქისანრელ ნონორაშვილი  
6 წლის**




# კრისტალები

პირველი ხუთი ბავშვი, რომელიც შევსე-  
ბულ კრისტალდს და გამოცანის პასუხებს  
რედაქტირაში მოგვიტანს ან ფოტოსასლის  
სახით გადმოგვიგზავნის, საჩუქრად მი-  
იღებს „დილის“ მიერ გამოცემულ წიგნს.

ამ კრისტალდს მხოლოდ ის შეავსებს, ვინც  
უურნალის ყველა გვერდს ყურადღებით  
ნაკითხავს.

1. რა ჰქონია ბაქსის მეგობარ ციყვს?
2. რა ჰქონია ჭკას?
3. ვინ ზის კუთხეში დატუქსული და  
დასჯილი?
4. რა ერქვა რევაზ ინანიშვილის  
დედას?
5. როგორი ასოები გამოჰყავდა  
ბიჭს?
6. იების ამოსვლის დრო.
7. რა უყვარდა ქალაქელ ბიჭს?
8. ცხოველი, რომელსაც ცელქი  
ბიჭი დაემსგავსა.
9. ბოტები თუ...
10. ვინ უვლიდა საცოდავ მურიას?
11. რევაზ ინანიშვილის მშობლიური  
სოფელი.
12. რა მოხვდა თავში ქათამს?
13. რა იყიდა ჭკურმა?
14. ვინ ოცნებობს ლეკვზე?



**ლოგიკური  
გამოცანები**

თარომეტრი 15 გრადუს  
ჰაგარატურას უჩვენებს.  
რამდენ გრადუსი იქნება  
რო თარომეტრზე?



გიორგი სკოლაში მისვლას  
ათ წეთს ანდომებს. რა დრო  
დასტილდება მას სკოლაში  
გისასვლელად, თუ ნიკასთან  
ერთად წავა?

სოცელის სატვირთო  
მანქანა ეიღიოდა. მას გზაზე  
ოთხი მსუბუქი ავტომანება  
შემოვდია. რამდენი მანქანა  
ჩავიდა სოცელში?

ესას ჰყავს 6 ბიჭი. თითოეულ  
ბიჭს ჰყავს დაც. რამდენი შვილი  
ჰყოლია მამას?

# 3 გენერაციას დაბუღავების დღე!

დემონტი ჩხეიძე,  
2 წლის

დემურ მარიამი,  
4 წლის

ანა ვაშაპიძე,  
5 წლის



მთავარი რედაქტორი: დოდო ნიკოლაძე  
ნახატი ყდაზე: თეა მიქაიასი

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა  
ფასი: 2 ლარი